საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1185

05/12/2019

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, შპს „ეიჩ ბი ფართსის“ მიერ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ”

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.4 და 10.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს „ქ. თბილისში, შპს „ეიჩ ბი ფართსის“ მიერ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N128 (29.11.2019წ.);
2. შპს „ეიჩ ბი ფართსმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N128 (29.11.2019წ.) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეიჩ ბი ფართს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეიჩ ბი ფართსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, სამგორის რაიონის გამგეობის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი